ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ MDF/D/G/097-2010

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია *2010 წ. 21 დეკემბერს*

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ ***საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა*** (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ ***შპს. "სუპერი" -ს*** (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 მომწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მგფ-ს ხელოვნური ნაძვის ხე და სათამაშოები თანდართული ინვოისის და ჩამონათვალის მიხედვით (დანართი 2 ფურცელი)

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშწორება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 548.80 (ხუთასორმოცდარვა 80/100) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით

4.2. შემსყიდველის მომწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების საფასურს იხდის უნაღდო ანგარიშსწორების გზით ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

5.. ხელშეკრულების მოქმედების და მომსახურების გაწევის ვადები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. მიმწოდებელი შემსყიდველს მომსახურებას გაუწევს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში

5.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე, თუ რომელიმე მხარე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და შექმნილი ვითარებიდან აშკარაა, რომ ვალდებულება არ შესრულდება.

5.4. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მხარეები შეთანხმდნენ, რომ კეთილსინდისიერად დაიცავენ წინამდებარე ხელშეკრულებას და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს..

6.2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.3. მომწოდებელი კისრულობს ვალდებულებას:

– გაუწიოს შემსყიდველს საკონსულტაციო მომსახურება და მისცეს რჩევა, დანართი №1-ში მითითებული ტექნიკური დავალების მიხედვით

6.4. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

–აღმოუჩინოს შემსყიდველს ყოველმხრივი დახმარება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად;

– დროულად გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას მომწოდებლის კუთვნილი ჰონორარი.

6.5. მომწოდბლის მიერ გაწეული მომსახურება განკუთვნილია მხოლოდ კლიენტის სარგებლობისათვის და დაუშვებელია მესამე პირისათვის მისი გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც კლიენტს წერილობით მიეცემა ამის ნებართვა.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი დასკვნა რეკომენდაციის მიღების, მიღება-ჩაბარების და ინვოისის/ანგარიშის წარდგენის საფუძველზე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია გაწეული მომსახურების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან. ინსპექტირებას განახორციელებს, სამეურნეო განყოფილების სპეციალისტი ბ-ნ დავით გოგლიძე.

8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

10. ანგარიშსწორება

10.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

10.2 ანგარიშსწორება მოხდება ანგარიშის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.

10.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14. სუბ-კონტრაქტორები

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

16.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით. მაქსიმალური საჯარიმო თანხა მომსახურების დასრულების დადგენილი ვადის დარღვევისათვის არ აღემატება საბოლოო კონტრაქტის ფასის 10%-ს.

16.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

16.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 კალენდარული დღით ადრე.

17.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17.5 ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

18. დავების გაწყვეტის წესი

18.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით

მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

18.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

19. სხვა პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

20. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ს.ს.ი.პ. „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“

ქ.თბილისი ალმაშენებლის გამზირი №150
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ც. ფ.

კოდი: 220 101 502
ა/ა: GE17BG0000000264040906
ს/კ: 206 074 193

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

ლევან ჭიჭინაძე

“____” “_____”2010 წ

შ.პ.ს. „სუპერი“

საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას. №23
ტელ./ფაქსი: 92-02-41
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თი-ბი-სი“ ბანკი, მარჯანიშვილის,

კოდი: 220 101 850
ა/ა: GE28TB1100000108467517
ს/კ: 205 050 905

დირექტორი

ივანე ხაზარაძე

“____” “_____”2010 წ